საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მორალი

მორალი იგავ-არაკში, ნართაულად, ალეგორიულად გადმოცემული ნაწარმოების დედააზრი, მწერლის იდეური ჩანაფიქრი. იგავ-არაკის დასკვნით ნაწილში გამოთქმულია ამა თუ იმ მოვლენის შეფასება, რაც დამრიგებლობითი ან მამხილებელი ხასიათისაა. **მ.** ან დასკვნის სახით ერთვის ნაწარმოებს, ან აფორიზმით არის წარმოდგენილი, ხშირ შემთხვევაში კი ამოსაცნობია.

ლიტ.: კ ი კ ნ ა ძ ე ზ., ქართული ფოლკლორი, თბ., 2006; ქ უ რ დ ა ძ ე შ., იგავის სწავლების დიდაქტიკურ-ესთეტიკური მახასიათებლების გაგებისთვის, თბ., 2011; შ ი ო შ ვ ი ლ ი თ., ქართული ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო, ბათ., 2004.